პროგრამული პროექტი - „სამშვიდობო რესურსები - „ქართულ-აფხაზური ურთიერთობები და საქართველოს ევროპული მომავალი“
(აგვისტო, 2018)

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატმა გააგრძელა იმ პროექტების მხარდაჭერა, რომლებიც დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის სახალხო დიპლომატიის, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროებში თანამშრომლობას წაახალისებს.
სწორედ ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესების ხელშეწყობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სახელმწიფო ინსტიტუტების, სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ახალგაზრდა ლიდერების ძალისხმევით შესწავლილ და გაანალიზებულ იქნეს კონფლიქტი და შესაბამისი მექანიზმებით დაძლეულ იქნეს კონფლიქტის უარყოფითი შედეგები. სხვა სამშვიდობო რესურსებთან ერთად განსაკუთრებით მნიშვნელოვნად არის მიჩნეული სახალხო დიპლომატია, რომელიც ხელს უწყობს ომით დაზარალებულ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენასა და შერიგების პროცესს.
პროექტის მიზანი იყო ინტერკულტურული მეგობრობის გაღრმავება, არაფორმალური დიალოგისთვის პლატფორმის შექმნა და ევროპული ღირებულებების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება. ქართულ-აფხაზური ტრადიციული ურთიერთობების პოპულარიზაცია.
პროგრამა ითვალისწინებდა სხვადასხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გადმოტანას და მის დანერგვას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყნის ინტერესების მხარდაჭერას უწყების კომპეტენციაში არსებული მიზნებიდან გამომდინარე.

წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში განხორცელდა შემდეგი ღონისძიებები:

- პროექტის შესახებ ონლაინ-ინფორმაციის გავრცელება
- პანელ - დისკუსიები, სადაც მონაწილეებს ჰქონდათ საკუთარი აზრის დაფიქსირების საშუალება
- პროგრამის ფარგლებში მოეწყო ონლაინ-გამოფენა